

ევროკავშირის შესახებ

ეროვნული კონვენცია საქართველოში

საქართველოში

ახალგაზრდული საქმიანობის  
ხარისხის განვითარება

მარინა ჟვანია

პროექტის პარტნიორი: სლოვაკეთის საგარეო პოლიტიკის ასოციაცია (SFPA)  
განმახორციელებელი პარტნიორი: ლევან მიქელაძის სახელობის ფონდი (LMF)  
დონორი ორგანიზაცია: SLOVAKAID და ფრიდრიხ ებერტის ფონდი  
პროექტის ხანგრძლივობა: თებერვალი 2021 – აგვისტო 2022



ლევან მიქელაძის სახელობის ფონდი  
THE LEVAN MIKELADZE FOUNDATION



SFPA  
Slovak Foreign Policy Association





წმინდა მიქელაძის საზოგადოებრივი ფონდი  
THE LEVAN MIKELADZE FOUNDATION



**SFPA**  
Slovak Foreign Policy Association



## შინაარსი

შესავალი..... 3

მოკლე მიმოხილვა..... 3

ახალგაზრდების მუშაობის ხარისხის უზრუნველყოფა ევროპის ქვეყნებში ..... 3

ახალგაზრდული საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფა ირლანდიაში..... 4

    ხარისხის სტანდარტების ეროვნული ჩარჩო..... 4

    ხარისხის ეროვნული სტანდარტები მოხალისეობრივად მოქმედი ახალგაზრდული ჯგუფებისთვის ჩრდილოეთ/სამხრეთ ირლანდიის განათლებისა და ტრენინგის სტანდარტები (NSETS)..... 6

    კვლევა და მტკიცებულება, რომელიც ხელს უწყობს ახალგაზრდულ საქმიანობას..... 7

ახალგაზრდული საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფა ჩრდილოეთ ირლანდიაში..... 8

    ჩრდილოეთ ირლანდიის ახალგაზრდული საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩო..... 9

    კვლევა და მტკიცებულება, რომელიც ხელს უწყობს ახალგაზრდულ საქმიანობას..... 9

ახალგაზრდული საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფა უელსში..... 10

    კვლევა და მტკიცებულება, რომელიც ხელს უწყობს ახალგაზრდულ საქმიანობას..... 10

ახალგაზრდული საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფა ჩეხეთის რესპუბლიკაში ..... 10

    ახალგაზრდული საქმიანობის თვითშეფასების ინსტრუმენტები ახალგაზრდული არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ახალგაზრდული ცენტრებისთვის - OLINA..... 11

    კვლევა და მტკიცებულება, რომელიც ხელს უწყობს ახალგაზრდულ საქმიანობას..... 12

ახალგაზრდული საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფა ესტონეთში..... 13

    ახალგაზრდული მუშაკების კომპეტენციები..... 13

    ხარისხის შეფასების მოდელი ადგილობრივი მუნიციპალიტეტებისთვის ..... 14

    კვლევა და მტკიცებულება, რომელიც ხელს უწყობს ახალგაზრდულ საქმიანობას..... 14

ახალგაზრდული საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფა ლიეტუვაში..... 15

    კვლევა და მტკიცებულება, რომელიც ხელს უწყობს ახალგაზრდულ საქმიანობას..... 16

ახალგაზრდული საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფა ფინეთში ..... 16

    კვლევა და მტკიცებულება, რომელიც ხელს უწყობს ახალგაზრდულ საქმიანობას..... 18

ახალგაზრდული საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფა სლოვაკეთში ..... 19

ახალგაზრდული საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის მდგომარეობა საქართველოში ..... 19

რეკომენდაციები საქართველოში ახალგაზრდული საქმიანობის ხარისხის განვითარებასთან დაკავშირებით..... 20

ბიბლიოგრაფია ..... 22



ՀԵՐԱՅԵ ԹԻՎԵՐԿԱԿԱՆ ՆԱԽԱՐԱՐՈՅԻՆ ԴՈՒՌԿԵՐ  
THE LEVIAN MIKELADZE FOUNDATION



**SFPA**  
Slovak Foreign Policy Association



## შესავალი

ახალგაზრდული საქმიანობის მნიშვნელობა სულ უფრო იზრდება და პოლიტიკის ახალ დოკუმენტებში, ევროპულ თუ ეროვნულ დონეზე ახალგაზრდული საქმიანობისთვის უწყვეტად ისაზღვრება ახალ როლი და ამოცანები. მოლოდინია, რომ ახალგაზრდული საქმიანობა გააუმჯობესებს სოციალურ ჩართულობას, ხელს შეუწყობს სამოქალაქო საზოგადოების შენებას, გაზრდის დასაქმების შესაძლებლობებს, მოახდენს ჯანმრთელობის რისკების პრევენციას და ა.შ.

ამავდროულად, თავად სექტორში არის შემდგომი წინსვლის ძლიერი მოტივაცია და ამ მიმართულებით გარკვეული ნაბიჯებიც იდგება ევროპულ, რეგიონულ თუ ეროვნულ დონეებზე, ახალგაზრდული საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებისა და აღიარების მიმართულებით. ხარისხის ასამაღლებლად იქმნება სტანდარტები და ინდიკატორები, ასევე მეთოდოლოგიური ბაზა და სახელმძღვანელოები, რაც შესაძლებელს ხდის ახალგაზრდული საქმიანობისთვის თავად განვითარდეს და დადებითი გავლენა მოახდინოს ახალგაზრდებისა და საზოგადოების ცხოვრებაზე.

ყველა ამ ძალისხმევას საფუძვლად უდევს იმ ფაქტის გააზრება, რომ ახალგაზრდული საქმიანობისთვის დღეისთვის არსებული რესურსები და მხარდაჭერა ვერ უზრუნველყოფს როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი შედეგების მიმართ სისტემატურად მზარდი მოლოდინების დაკმაყოფილებას. ახალგაზრდული საქმიანობა ხშირად მოცალეობის კონტექსტში ხორციელდება, ძირითადად, უკავშირდება არაფორმალურ სწავლას და განათლების სხვა სექტორებთან შედარებით, ძალიან მწირი მხარდაჭერა აქვს. ყოველივე ამის გათვალისწინებით, საჭიროა ახალგაზრდულ საქმიანობას უფრო დიდი ყურადღება დაეთმოს და წმინდა რაოდენობრივი შედეგების გაზომვის ნაცვლად, ყურადღება ხარისხობრივ ეფექტებზე გამახვილდეს.

## მოკლე მიმოხილვა

დოკუმენტში აღწერილია ახალგაზრდული საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემები ევროპის რიგი ქვეყნების მაგალითებზე. მიმოხილულია საქართველოში არსებული მდგომარეობა ახალგაზრდული საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის კუთხით. დოკუმენტი ასევე მოიცავს რეკომენდაციებს ახალგაზრდული საქმიანობის ხარისხის გასავითარებლად.

## ახალგაზრდების მუშაობის ხარისხის უზრუნველყოფა ევროპის ქვეყნებში

ევროკავშირის 2019-2027 წლების ახალგაზრდული სტრატეგიის ერთ-ერთი მთავარი მიზანია ახალგაზრდების მუშაობის მხარდაჭერა, რაც ახალგაზრდების გაძლიერების კატალიზატორად არის მიჩნეული. ახალგაზრდული საქმიანობა აღიარებულია როგორც ახალგაზრდების საკვანძო პიროვნული, პროფესიული და სამეწარმეო კომპეტენციებითა და უნარებით აღჭურვის მძლავრი ინსტრუმენტი და ხიდი განათლებას, გადამზადებასა თუ დასაქმებას შორის, რომლის მეშვეობითაც ახალგაზრდები თავიდან აიცილებენ საზოგადოებრივ გარიყულობას და იზოლაციას.

ევროკავშირის 2019-2027 წლების ახალგაზრდობის სტრატეგია ევროკავშირის წევრ ქვეყნებს უბიძგებს, რომ მხარი დაუჭირონ ხარისხიან ახალგაზრდულ საქმიანობას. ზოგადად, ახალგაზრდული საქმიანობის ხარისხი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად უწყობს ხელს ახალგაზრდების პიროვნულ და სოციალურ განვითარებას. უფრო კონკრეტულად, ახალგაზრდული საქმიანობა უნდა შეესაბამებოდეს ახალგაზრდების საჭიროებებსა და ინტერესებს, იცავდეს მათ უფლებებს, ჰქონდეს სწავლის მკაფიო პერსპექტივა და ეხმარებოდეს მათი მიზნების განხორციელებას.

სხვადასხვა ქვეყანაში შემუშავებული ეროვნული პოლიტიკის მეშვეობით ჩამოყალიბდა ახალგაზრდული საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის სხვადასხვა მექანიზმები. ზოგმა ქვეყანამ პროფესიული სტანდარტები დააწესა ახალგაზრდული მუშაკებისთვის, რომლებსაც მოეთხოვებათ, რომ ახალგაზრდული საქმიანობის განსახორციელებლად შეიძინონ კონკრეტული კომპეტენციები და მიიღონ შესაბამისი კვალიფიკაცია.

ქვეყნების მეორე ჯგუფში ხარისხის უზრუნველყოფა ხდება იმ პროექტების შერჩევით, რომელთაც სახელმწიფო დაფინანსება უნდა მიიღონ. ხელისუფლების ორგანოები საპროექტო წინადადებებს ხარისხის წინასწარ დადგენილი კრიტერიუმებით აფასებენ და მხარდაჭერის მიღება შეუძლიათ პროექტებს, რომლებიც ამ კრიტერიუმებს აკმაყოფილებენ.

ხარისხის უზრუნველყოფის მესამე მეთოდია ახალგაზრდული საქმიანობის აქტივობების განხილვა, (არასავალდებულო) რეკომენდაციებისა და სახელმძღვანელო პრინციპების გათვალისწინებით. ეს მეთოდი ფართოდ არის გავრცელებული და ზოგ ქვეყანაში ერთადერთ მეთოდს წარმოადგენს. ამ ქვეყნებში ახალგაზრდული ორგანიზაციები სახელმწიფო სტრუქტურებთან თანამშრომლობით თანხმდებიან ხარისხის სტანდარტებსა და ინდიკატორებზე, ხოლო პროექტის შედეგების ერთობლივი შეფასება იმ ასპექტებს განსაზღვრავს, რასაც გაუმჯობესება სჭირდება (მაგალითად, ახალგაზრდებისთვის ტრენინგის ჩატარება ან მონაწილეობის უფრო ინკლუზიური ხასიათი).

წინამდებარე დოკუმენტში განხილულია შერჩეულ ევროპულ ქვეყნებში ეროვნულ დონეზე დაწესებული ახალგაზრდული საქმიანობის გაუმჯობესების მექანიზმები.

## ახალგაზრდული საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფა ირლანდიაში

### ხარისხის სტანდარტების ეროვნული ჩარჩო

ახალგაზრდული საქმიანობის ხარისხის სტანდარტების ეროვნული ჩარჩო (NQSF) არის „ბავშვთა, თანასწორობის, ინტეგრირებისა და ახალგაზრდობის დეპარტამენტის“ (DCEDIY) პროფესიული სტანდარტი, რომელიც ახალგაზრდული საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებას ისახავს მიზნად. სტანდარტი გამოქვეყნდა 2010 წელს და 2011 წლის იანვარში დაინერგა. ხარისხის სტანდარტების ეროვნული ჩარჩოს (NQSF) დანერგვა ხორციელდება ახალგაზრდული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით, იმ სერვისების, პროექტებისა და პროგრამების გათვალისწინებით, რომლებიც შემდეგი სქემებით ფინანსდება:

- ახალგაზრდული სერვისების საგრანტო სქემა

## საქართველოში ახალგაზრდული საქმიანობის ხარისხის განვითარების შესახებ

- სპეციალური პროექტები ახალგაზრდებისთვის
- ახალგაზრდული ორგანიზაციების და მომსახურების ფონდები
- ახალგაზრდული საინფორმაციო ცენტრები

ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩო (NQSF) ახალგაზრდული ორგანიზაციების განვითარების პროცესის ხელშემწყობი ინსტრუმენტია. ის საშუალებას აძლევს ახალგაზრდულ ორგანიზაციებს შეაფასონ საკუთარი მომსახურების მიწოდება და განსაზღვრონ განვითარების სფეროები. ის ასევე იძლევა შესაძლებლობას, რომ ახალგაზრდული საქმიანობა ერთიან სტრუქტურირებულ ჩარჩოში განხორციელდეს. NQSF-ი მიზნად ისახავს:

- შექმნას და განავითაროს მხარდაჭერისა და განვითარების ინსტრუმენტი ახალგაზრდული საქმიანობის განმახორციელებელი ორგანიზაციებისთვის.
- დააწესოს სტანდარტები, რომლებსაც ახალგაზრდული საქმიანობის პრაქტიკაში დაამკვიდრებს;
- ახალგაზრდული საქმიანობისთვის შექმნას მტკიცებულებებზე დაფუძნებული ბაზა;
- ახალგაზრდული საქმიანობის სფეროში უზრუნველყოს რესურსების ეფექტიანად გამოყენება;
- შექმნას საფუძველი „სრული ორგანიზაციული შეფასებისთვის“.

NQSF-ი განსაზღვრავს ძირითად კრიტერიუმებს, რომლებსაც ხარისხიანი ახალგაზრდული საქმიანობა უნდა აკმაყოფილებდეს, კერძოდ, უნდა იყოს:

- ახალგაზრდებზე ორიენტირებული;
- პარტნიორობასა და თანამშრომლობაზე დაფუძნებული;
- პრობლემის გადაწყვეტაზე ორიენტირებული;
- გამომწვევებით აღსავსე და განმავითარებელი;
- რეალისტური და მკაფიო;
- სარგებელზე ორიენტირებული.

NQSF-ი ჩართულობის უზრუნველსაყოფად ასევე მოიცავს დეტალურ, ათ ეტაპიან პროცესს.

ადგილობრივ ახალგაზრდულ სამსახურებს NQSF-თან დაკავშირებით დახმარებას უწევს და ხელმძღვანელობს განათლებისა და ტრენინგის ადგილობრივი საბჭო, ხოლო ეროვნულ ახალგაზრდულ ორგანიზაციებს ამგვარ მომსახურებას უწევს DCEDIY-ი.

ახალგაზრდული საქმიანობის შეფასება ეფუძნება როგორც თვითშეფასებას, ისე ზოგიერთ გარე შეფასებას, რომელიც გამოიყენება თვითშეფასების პროცესის მართებულობისთვის. თვითშეფასებისთვის საჭიროა ახალგაზრდულმა ორგანიზაციამ შეადგინოს საკუთარი მიღწევების სკალა. ადგილობრივი ახალგაზრდული სერვისების გარე შეფასებას ატარებენ ახალგაზრდულ საქმეთა/კომუნიკაციაზე პასუხისმგებელი პირები, ხოლო NQSF სტანდარტების თანამშრომელი - ახალგაზრდული ეროვნული ორგანიზაციების შეფასებას. გარე შეფასება პრაქტიკულ საქმიანობაზე დაკვირვებებს მოიცავს და ხარისხიანი ახალგაზრდული საქმიანობის უფრო პრაქტიკული მაგალითების მოპოვების შესაძლებლობას იძლევა, ასევე, NQSF-ის მიმდინარე საქმიანობაზე და განვითარებაზე იძლევა ინფორმაციას. აქ გასათვალისწინებელია დაინტერესებული მხარეების, კერძოდ, პერსონალის, მმართველი რგოლის, ახალგაზრდების და

მოხალისეების შეხედულებები. გარე შეფასების პროცესის შემდეგ განმახორციელებელი ჯგუფი და ახალგაზრდულ საქმეთა/კომუნიკაციაზე პასუხისმგებელი პირები ან NQSF-სტანდარტების თანამშრომელი ახალგაზრდული საქმიანობის განმახორციელებელი ორგანიზაციის მიღწევების თვითშეფასების სკალას განიხილავენ. ორმა მხარემ უნდა განიხილოს, რამდენად ზუსტად ასახავს სკალა სინამდვილეს და ან ამა თუ იმ ინფორმაციაზე უნდა შეთანხმდნენ, ან უნდა შეაჯერონ პოზიცია. პოზიცია საფუძვლად უნდა დაედოს უწყვეტი განვითარების გეგმას, რომელზეც აიგება „წლიური პროგრესის ანგარიში“.

თუ შეფასება გამოავლენს საკითხს, რომელიც საჭიროებს დაუყოვნებლივ რეაგირებას და მოქმედებას, ამ პრობლემების მოგვარება NQSF-ის გარეთ განსახორციელებელი ცალკე პროცესის ნაწილია. ასეთ შემთხვევებში, ორგანიზაციის მმართველი რგოლი და დამფინანსებელი ორგანო იქნება ინფორმირებული და ისინი აიღებენ თავიანთ წილ პასუხისმგებლობას ორგანიზაციის ფარგლებში ეფექტური ახალგაზრდული საქმიანობის და პრაქტიკის უზრუნველსაყოფად.

### ხარისხის ეროვნული სტანდარტები მოხალისეობრივად მოქმედი ახალგაზრდული ჯგუფებისთვის

მოხალისეობრივად მოქმედი ახალგაზრდული ჯგუფების ხარისხის ეროვნული სტანდარტებით ფასდება მოხალისეობრივად მოქმედი ახალგაზრდული ჯგუფების მიერ გაწეული საქმიანობა. ბავშვებისა და ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტის (DCYA) ადგილობრივი ახალგაზრდული კლუბის საგრანტო სქემის ფარგლებში დაფინანსებულ ჯგუფებსა, რომლებიც მოქმედებენ დუბლინსა და უოტერფორდში, სტანდარტების დაკმაყოფილება მოეთხოვებათ. სხვა ახალგაზრდული ჯგუფებისთვის ამ სტანდარტების დაცვა სავალდებულო არ არის, თუმცა ამის გასაკეთებლად ხელშეწყობა აქვთ.

სტანდარტების შესაბამისად, თითოეულმა მონაწილე ორგანიზაციამ უნდა შეიმუშაოს წლიური გეგმა და მოამზადოს პროგრესის წლიური ანგარიში, „დაგეგმე, განახორციელე, განიხილე“ მოდელის საფუძველზე. ფორმის განხილვა და განახლება უნდა ხდებოდეს ყოველწლიურად და უნდა გამოიყენებოდეს ინფორმირებისთვის. ამ პროცესის დროს ორგანიზაციებმა უნდა გაიარონ კონსულტაცია ან დაუკავშირდნენ თავიანთი სათაო ორგანიზაციის ახალგაზრდული საქმეების/განვითარების რეგიონალურ თანამშრომელს ან ახალგაზრდული საქმეების/კომუნიკაციის თანამშრომელს ადგილობრივი განათლებისა და ტრენინგის საბჭოდან. თანამშრომელი ავსებს პროგრესის ანგარიშის შესაბამის ნაწილს, რომელიც ორგანიზაციას აძლევს უკუკავშირს.

ამ პროცესს არანაირი სანქცია არ მოჰყვება. მაგალითად, თუ პროექტები ან პროგრამები ხარისხის დადგენილ კრიტერიუმებს არ აკმაყოფილებენ, არ ხდება სახელმწიფო დაფინანსების არც გაცემა და არც შეჩერება.

### ჩრდილოეთ/სამხრეთ ირლანდიის განათლებისა და ტრენინგის სტანდარტები (NSETS)

ახალგაზრდული საქმიანობისთვის შექმნილი ჩრდილოეთ და სამხრეთ ირლანდიის განათლებისა და ტრენინგის სტანდარტების კომიტეტი (NSETS) უზრუნველყოფს და ხელს უწყობს განათლებისა და ტრენინგის ხარისხის სტანდარტების დანერგვას. ეს პროცესი პროგრამის

## საქართველოში ახალგაზრდული საქმიანობის ხარისხის განვითარების შესახებ

შინაარსისა და სერვისის მიწოდების ყველა ასპექტის მკაცრ შეფასებას ეყრდნობა და უკვე შემოღებული და დამტკიცებული წესის მიხედვით მიმდინარეობს. NSETS-ის პროფესიონალური აღიარებაა, რომ ოფიციალურად ცნეს ახალგაზრდული მუშაობის სექტორად და ახალგაზრდული სამუშაოს სწავლების პროგრამები აკმაყოფილებს მოთხოვნილ კრიტერიუმებს და შეესაბამება მიზნებს.

NSETS-ი 2006 წელს შექმნა ჩრდილოეთ ირლანდიის განათლების დეპარტამენტმა და ირლანდიის რესპუბლიკის განათლებისა და მეცნიერების დეპარტამენტის ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილებამ (ახლანდელი DCEDIY) მთელი ირლანდიის მასშტაბით.

ინსტიტუციები NSET-ებს პროფესიონალური აღიარებისა და დამტკიცებისთვის მიმართავენ. ექსპერტთა ჯგუფი თითოეულ აპლიკაციას დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით განიხილავს. შემდეგ ექსპერტთა ჯგუფი ეწვევა დაწესებულებას და ატარებს გასაუბრებებს მმართველ რგოლთან, პროგრამის შემქმნელებთან, მასწავლებლებთან, სტუდენტებთან, პრაქტიკოს მასწავლებლებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან, რათა დადგინდეს, თუ რამდენად შეესაბამება პროგრამა და ინფრასტრუქტურა NSET-ის სტანდარტებს. ექსპერტთა ჯგუფი აგრეთვე უფლებამოსილია შეაგროვოს დოკუმენტური და დაკვირვების შედეგად მიღებული მონაცემები.

პროგრამის დამტკიცება შეიძლება იყოს პირობითი და მოითხოვდეს პროგრამებში გარკვეული შესწორებებისა და ცვლილებების შეტანას. დამტკიცებული პროგრამების გადასინჯვა ხდება ყოველწლიურად, ხოლო ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ - მათი ხელახალი დამტკიცება.

NSETS-ს მხარს უჭერს DCEDIY-ისა და ჩრდილოეთ ირლანდიის განათლების დეპარტამენტი, რომელიც აფინანსებს ნახევარ განაკვეთზე მომუშავე განვითარების თანამშრომლებს, რომლებსაც კონტრაქტი ირლანდიის ახალგაზრდულ ეროვნულ საბჭოსთან აქვთ გაფორმებული.

### კვლევა და მტკიცებულება, რომელიც ხელს უწყობს ახალგაზრდულ საქმიანობას

DCEDIY-ს აქვს კვლევითი საბჭო, რომლის წევრობაც შეუძლიათ მკვლევრებს, იქნებიან ისინი აკადემიური ინსტიტუტებიდან თუ დამოუკიდებელი. DCEDIY-ი კვლევითი პროექტებისთვის ტენდერების ჩატარების შესახებ მოთხოვნებს DCEDIY-ის კვლევითი ჯგუფის დამტკიცებულ წევრებს უზღავნის, რომლებსაც შემდგომ შეუძლიათ კვლევის ჩატარება მოითხოვონ. ადრე DCEDIY-ი აფინანსებდა სამაგისტრო და სადოქტორო კვლევებს ბავშვთა და ახალგაზრდების საკითხებში.

ირლანდიის ეროვნული ახალგაზრდული საბჭოც (NYCI) ატარებს ირლანდიაში ახალგაზრდული მუშაობის კვლევას. NYCI-ი აგროვებს და აქვეყნებს რესურსებს, მათ შორის საუკეთესო პრაქტიკის მაგალითებს და აწყოებს სემინარებსა და კონფერენციებს ახალგაზრდული საქმიანობის შედეგების განსახილველად.





## საქართველოში ახალგაზრდული საქმიანობის ხარისხის განვითარების შესახებ

დემონსტრირება; სხვადასხვა ჯგუფის წარმომადგენლებთან შეხვედრა და მათთან მუშაობა; საკუთარი მოხალისეობრივი მონაწილეობის დემონსტრირება.

✓ სწავლის უზრუნველყოფის ხარისხი, რომლის ფარგლებშიც ორგანიზაცია და პერსონალი: გეგმავენ ახალგაზრდების საჭიროებებზე ორიენტირებულ პროგრამებს; აგებენ ცოდნისა და უნარების განვითარების გეგმას; ავითარებენ მიზანმიმართულ ურთიერთობებს ახალგაზრდებთან; შემოაქვთ ინოვაციური და მოთხოვნადი პროგრამები; მიმართული არიან დააკმაყოფილონ მოწყვლადი, უკმაყოფილო ან მარგინალიზებული ახალგაზრდების საჭიროებები;

✓ ლიდერობისა და მართვის ხარისხი, რომლის ფარგლებშიც ხელმძღვანელობა და მენეჯმენტი აჩვენებს უწყვეტ განვითარებას; ახალგაზრდებს რთავს ორგანიზაციის მართვაში; აქვს ორგანიზაციის მკაფიო ხედვა; იყენებს ახალგაზრდების შეხედულებებს ორგანიზაციის განვითარების პროცესში და ეფექტიანად მუშაობს პარტნიორებთან, ახალგაზრდების გამოცდილებას განსამტკიცებლად.

დოკუმენტი წარმოადგენს ინსპექტირების პროცესის ჩარჩო-ფორმატს, რომელიც ეხმარება ორგანიზაციებს გამოავლინონ თავიანთი ძლიერი მხარეები და ძალისხმევა მიმართონ იმ სფეროებისკენ, რომლებიც გაუმჯობესებას საჭიროებენ.

ETI ასევე ატარებს რეგულარულ და ოფიციალურ ინსპექტირებას თითოეულ ახალგაზრდულ ორგანიზაციაში, ზემოთ წარმოდგენილი სამი კატეგორიის საფუძველზე. ინსპექტირების შედეგებიდან გამომდინარე, ახალგაზრდული საქმიანობის განმახორციელებლებს ევალებათ განახორციელონ საქმიანობის გაუმჯობესებისკენ მიმართული ქმედებების ჩამონათვალი.

### ჩრდილოეთ ირლანდიის ახალგაზრდული საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩო

ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩო (QAF) არის ახალგაზრდული სექტორის ერთობლივი მიდგომის ყველაზე დიდი მიღწევა, რომელიც ხელს უწყობს ახალგაზრდებს საუკეთესო შედეგების მიღწევაში. QAF არის მხარდაჭერისა და განვითარების ინსტრუმენტი, რომელიც საშუალებას აძლევს ახალგაზრდულ ორგანიზაციებს სტრუქტურირებული მიდგომით ჩამოაყალიბონ, შეაფასონ და გააუმჯობესონ თავიანთი მუშაობა. ჩარჩოს აქვს ოთხი ეტაპი - კონტექსტის გაგება, მტკიცებულებების განხილვა და შეფასება, სამოქმედო გეგმის შექმნა და სამოქმედო გეგმის განხილვა.

### კვლევა და მტკიცებულება, რომელიც ხელს უწყობს ახალგაზრდულ საქმიანობას

არსებობს კვლევისა და მტკიცებულებების სხვადასხვა წყარო, რომლებიც ეხმარება ჩრდილოეთ ირლანდიაში ახალგაზრდული საქმიანობის განვითარებას. განათლების დეპარტამენტი აწარმოებს საკუთარ სტატისტიკას და ჰყავს კვლევითი ჯგუფი, რომელიც ამზადებს ანგარიშებს სხვადასხვა თემებზე, ახალგაზრდული საქმიანობის ჩათვლით.

ETI ასევე აქვეყნებს სხვადასხვა გამოკითხვასა და შეფასებას ინიციატივების ეფექტიანობასთან დაკავშირებით, რაც ახალგაზრდული საქმიანობის შემდგომ გაუმჯობესებას ისახავს მიზნად.

ახალგაზრდულ საქმიანობასთან დაკავშირებით ასევე აქვეყნებს სხვადასხვა სახის მონიტორინგის ანგარიშებს.

## ახალგაზრდული საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფა უელსში

უელსში მოქმედი ახალგაზრდული საქმიანობის ხარისხის ნიშანი იმ ორგანიზაციების ხარისხისა და საქმიანობის მყარ, დამოუკიდებელ გარე შეფასებას უზრუნველყოფს, რომლებიც ახალგაზრდულ საქმიანობას ახორციელებენ.

ხარისხის ნიშანი შეიძლება გამოყენებული იყოს როგორც თვითშეფასებისთვის, ისე გაუმჯობესების დაგეგმვისა და ეროვნული ხარისხის ნიშნის მოსაპოვებლად. იგი ორი განსხვავებული ელემენტისგან შედგება:

1. ახალგაზრდული საქმიანობის ხარისხის სტანდარტები - იმ ინდიკატორებისა და ხარისხის სტანდარტების ერთობლიობა, რომლებიც ორგანიზაციებს შეუძლიათ გამოიყენონ ახალგაზრდებთან თავიანთი მუშაობის ხარისხისა და გავლენის თვითშეფასებისთვის, აგრეთვე, გაუმჯობესების გეგმების შემუშავებისთვისაც.

2. ხარისხის ნიშანი - ეროვნულ დონეზე აღიარებული ხარისხის ნიშანი, რომელზეც შეუძლიათ ორგანიზაციებმა გააკეთონ განაცხადი და მოიპოვონ აღიარება თვითშეფასების და გარე შეფასების მტკიცებულებების პორტფოლიოს შემუშავების შედეგად.

ეროვნული ხარისხის ნიშანი შედგება:

- სამი დონისაგან - ბრინჯაო, ვერცხლი და ოქრო;
- თითოეულ დონეზე მოქმედებს ხარისხის ოთხი სტანდარტი;
- ხარისხის სტანდარტები მოიცავს სამ შესაბამის ინდიკატორს.

ეროვნული ხარისხის ნიშანზე განაცხადის გაკეთება შეუძლია ნებისმიერი ორგანიზაციას, რომელიც ახალგაზრდულ საქმიანობას ახორციელებს.

### კვლევა და მტკიცებულება, რომელიც ხელს უწყობს ახალგაზრდულ საქმიანობას

უელსის ბავშვების, ახალგაზრდების და განათლების კომიტეტი ატარებს სხვადასხვა ახალგაზრდული სერვისის კვლევას, მათ შორის ახალგაზრდულ საქმიანობაზე.

## ახალგაზრდული საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფა ჩეხეთის რესპუბლიკაში

წოდება „განათლების, ახალგაზრდობისა და სპორტის სამინისტროს მიერ აღიარებული არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს ხარისხიან ახალგაზრდულ საქმიანობას.“ ჩეხეთის განათლების, ახალგაზრდობისა და სპორტის სამინისტროს, საგრანტო ქვეპროგრამის



მიმდინარე აქტივობების შეფასების ფაზის დასასრულებლად. გარდა ამისა, მომხმარებლებს შეუძლიათ განათლების ეროვნული ინსტიტუტის ექსპერტების დამატებითი კონსულტაციებითა და მეთოდოლოგიური მხარდაჭერით ისარგებლონ.

**2. კომპეტენციის მოდული:** ეხმარება ახალგაზრდული საქმიანობისთვის გადამწყვეტი 30 ძირითადი კომპეტენციის თვითშეფასებას ახალგაზრდული მუშაკებისა და ახალგაზრდა ლიდერების დონეზე. ორი ტესტი, რომელიც უზრუნველყოფს, რომ ინდივიდუალურ მომხმარებელს მიეწოდოს უკუკავშირი ახალგაზრდული საქმიანობის ხარისხთან დაკავშირებული მათი ძირითადი კომპეტენციების დონის შესახებ. გარდა ამისა, მრავალ წყაროზე დამყარებული გარე შეფასების ინსტრუმენტი საშუალებას აძლევს მომხმარებელს, რომ იგი შეაფასონ მისმა ხელმძღვანელმა, კოლეგებმა, გარე პარტნიორებმა, ახალგაზრდებმა და ა.შ., რაც აუმჯობესებს მათ პირად და პროფესიულ განვითარებას. წარმოდგენილია 15 რბილი (უნივერსალური) უნარის განვითარების მეთოდოლოგია.

**3. ელექტრონული სწავლის მოდული:** უზრუნველყოფს ელექტრონული სწავლის 8 ინოვაციურ სატრენინგო პროგრამას, რომლებიც ახალგაზრდა ლიდერებისთვის 8 შერჩეული ძირითადი კომპეტენციის განვითარებას და გაუმჯობესებას ისახავს მიზნად (ეფექტიანი კომუნიკაცია და პრეზენტაციის უნარი, დაგეგმვა, პროექტის მენეჯმენტი, პრობლემების გადაჭრა, ადამიანური რესურსების მართვა, სტრატეგიული მართვა, ხელმძღვანელობა, სახსრების მოზიდვა). სატრენინგო კურსების შედეგები იწერება მომხმარებლების პირად პროფილებში და საშუალებას აძლევს მომხმარებლებს, რომ სურვილის შემთხვევაში, თავიანთი საქმიანობა გააუმჯობესონ.

მიღწეული შედეგების გაუმჯობესება შემდეგ, ნებისმიერ დროს, არის შესაძლებელი (მაგალითად, წლის სხვადასხვა დროს მიღწეული შედეგების შესადარებლად, ინსტრუმენტების განმეორებითი გამოყენებისას, ან ახალგაზრდულ არასამთავრობო ორგანიზაციებში ახალგაზრდული საქმიანობის ხარისხის სისტემაში მიღწეული პროგრესის გასაზომად, ასევე ახალგაზრდული ცენტრებისა და ახალგაზრდა ლიდერების ძირითადი კომპეტენციების შესაფასებლად). ონლაინ აპლიკაციის ინსტრუმენტი საშუალებას აძლევს მიზნობრივი ჯგუფების ლიდერებსა და მენეჯერებს დააფიქსირონ კომპეტენციების განვითარება და თვითშეფასების საფუძველზე საკუთარი „პერსონალური კომპეტენციის პორტფოლიო“ შექმნან. გარდა ამისა, ინსტრუმენტი საშუალებას აძლევს მომხმარებლებს ახალგაზრდული არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ახალგაზრდული კლუბების დონეზე შეიმუშაონ საკუთარი ნაკლოვანებების გაუმჯობესების სამოქმედო გეგმა და სისუსტეების აღმოფხვრაში მიღწეული პროგრესი და დაკვირვებები აღბეჭდონ.

### კვლევა და მტკიცებულება, რომელიც ხელს უწყობს ახალგაზრდულ საქმიანობას

2016 წლის ბოლოს ჩეხეთის ბავშვთა და ახალგაზრდობის საბჭომ (ახალგაზრდობის ეროვნული საბჭო, არასამთავრობო სტრუქტურა) ანალიტიკური ცენტრი აამუშავა; ეს არის მცირე დაწესებულება, რომელიც შეისწავლის ინფორმაციას, მონაცემებს და ცოდნას ახალგაზრდული საქმიანობას, ახალგაზრდული პოლიტიკისა და ახალგაზრდობის შესახებ, როგორც

უნივერსიტეტებთან და მკვლევრებთან, ისე კერძო და საჯარო დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან თანამშრომლობით.

## ახალგაზრდული საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფა ესტონეთში

ესტონეთში ახალგაზრდული საქმიანობის ხარისხი ფასდება ზუსტი მექანიზმისა და კონტექსტის, ადგილობრივი თუ სახელმწიფო დონის პროექტის ან პროგრამის და ა.შ. მიხედვით. ქვემოთ მოცემულია ორი მაგალითი ესტონეთის ახალგაზრდობის სექტორში ხარისხის უზრუნველყოფის მიდგომების საილუსტრაციოდ.

### ახალგაზრდული მუშაკების კომპეტენციები

ახალგაზრდული მუშაკის პროფესიის სტანდარტები შესაბამისობაშია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-4, მე-6 და მე-7 დონეებთან. სტანდარტები კომპეტენციების მრავალფეროვან კომპლექტს აერთიანებს და სხვადასხვა დონეზე ოდნავ განსხვავებულად წარმოჩნდება. მაგალითად, მე-4 დონეზე ყურადღება გამახვილებულია ახალგაზრდული საქმიანობის ორგანიზებაზე, საზოგადოებასთან ურთიერთობასა და თანამშრომლობაზე, უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფასა და სხვა ამოცანებზე, რომლებიც დაკავშირებულია ახალგაზრდული საქმიანობის პრაქტიკულად აწყობასა და მის მომსახურებასთან. მე-6 და მე-7 დონეზე ჩართულია დამატებითი კომპეტენციები, როგორცაა მართვა, ახალგაზრდული სფეროს განვითარება და ა.შ.

2020 წლის 31 ივლისამდე ახალგაზრდა მუშაკის პროფესიული სერტიფიკატების მინიჭებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურა იყო ესტონეთის ახალგაზრდული საქმიანობის ცენტრი. 2020 წლის 1 აგვისტოს ცენტრი გადაკეთდა ორგანიზაციად, სახელწოდებით „განათლებისა და ახალგაზრდობის საბჭო“, რომელმაც ახალგაზრდულ სექტორში პროფესიული სერტიფიკატების მინიჭების პასუხისმგებლობა აიღო.

პროფესიული სტანდარტის სერტიფიკატის მისაღებად ახალგაზრდულმა მუშაკებმა თვითშეფასების პროცესი უნდა გაიარონ პროფესიული სტანდარტის საფუძველზე და შეავსონ პორტფოლიო. ამის შემდეგ ტარდება გასაუბრება ექსპერტთა ჯგუფთან, რომელიც საფუძველად დაედება გადაწყვეტილებას, თუ რამდენად შესაძლებელია კვალიფიკაციის მინიჭება (დასაბუთებულ შემთხვევებში). გარდა ახალგაზრდული მუშაკების პროფესიული კვალიფიკაციისა, ასევე არსებობს ახალგაზრდული პერსონალის ნაწილობრივი კვალიფიკაციის სერტიფიკატი, რომელიც სავალდებულოა ახალგაზრდულ ბანაკში მუშაობისთვის. ასეთი კომპეტენციები წერილობითი გამოცდით ფასდება. 2020 წლის ბოლოს 300-ზე მეტი ახალგაზრდული მუშაკის ვალიდური სერტიფიკატი და 2600-ზე მეტი ნაწილობრივი პროფესიული სერტიფიკატი გაიცა ახალგაზრდული ბანაკების დირექტორებისა და მრჩეველებისთვის.

## ხარისხის შეფასების მოდელი ადგილობრივი მუნიციპალიტეტებისთვის

ადგილობრივი მუნიციპალიტეტებისთვის შემუშავდა სპეციალური ინსტრუმენტი ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდული საქმიანობის ძლიერი და სუსტი მხარეების სრული სურათის დასანახად, რაც მომავალი განვითარების დაგეგმვის საფუძველს წარმოადგენს. არსებობს ოთხი ძირითადი ინდიკატორი, რომლებსაც აქვთ ქვე ინდიკატორები:

1. არსებობს ახალგაზრდების არაფორმალური სწავლის მრავალმხრივი შესაძლებლობები;
2. არსებობს მონაწილეობის გამოცდილების მიღების შესაძლებლობა;
3. არსებობს პირობები ინფორმაციის მიღების, პრევენციისა და კონსულტაციისთვის;
4. შექმნილია ახალგაზრდული საქმიანობის ხარისხიანად განხორციელებისთვის საჭირო გარემო.

თავდაპირველად ადგილობრივი მუნიციპალიტეტი ატარებს თვითშეფასებას, რის შემდეგაც ტარდება გარე შეფასება. შეფასების პროცესში ჩართული უნდა იყოს ახალგაზრდული საქმიანობით დაინტერესებული პირები. შედეგები ეფუძნება თვითშეფასებისა და გარე შეფასების შედეგებს და მუნიციპალიტეტის სუსტ და ძლიერ მხარეებს წარმოადგენს. ამის შემდეგ მუნიციპალიტეტს შეუძლია დასახული მიზნების მისაღწევად დაგეგმოს სამომავლო განვითარება. შეფასების პროცესი არ არის სავალდებულო ადგილობრივი მუნიციპალიტეტებისთვის, მაგრამ ეხმარება მათ საკუთარ ტერიტორიაზე გააუმჯობესონ ახალგაზრდული საქმიანობის ხარისხი.

## კვლევა და მტკიცებულება, რომელიც ხელს უწყობს ახალგაზრდულ საქმიანობას

ესტონეთის ახალგაზრდულ სექტორში ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია ახალგაზრდებისთვის უკეთესი ხარისხის ცოდნის მიწოდება, ცნობიერების ამაღლება და მხარდაჭერა, ასევე ახალგაზრდულ საქმიანობასთან დაკავშირებული სერვისების ეფექტიანობის გაზომვა.

ახალგაზრდობის ეროვნული სტრატეგიით და 2021-2035 წლების ახალგაზრდული სფეროს განვითარების გეგმით დადგენილია, რომ ფართო მოცულობის ცოდნა ანალიზისა და სამეცნიერო კვლევის შედეგებს ეფუძნება. ყოველდღიურ მუშაობაში შექმნილი პრაქტიკული ცოდნა და ახალგაზრდა ექსპერტების წვლილი ქმნის მნიშვნელოვან მიმართულებას ახალგაზრდული სექტორის აქტივობების განვითარებისა და განხორციელებისთვის. მასში გამოკვეთილია, რომ ყოვლისმომცველი და სანდო ცოდნა უნდა იყოს გადაწყვეტილების მიღების საფუძველი ახალგაზრდული სექტორის ყველა დონეზე და ყველა სფეროში, ყურადღებას ამახვილებს ახალგაზრდების მონიტორინგისა და ანალიზის სისტემის ისეთ მნიშვნელოვან სფეროებზე, როგორცაა:

- სექტორის მონაცემთა მართვა, ანუ მონაცემთა შექმნა და შეგროვება, მონაცემთა ხელმისაწვდომობა და ანალიზი ახალგაზრდების სტატუსისა და მათთვის გაწეული მომსახურების შესახებ;
- ახალგაზრდული სერვისებისა და აქტივობების შესრულების მონიტორინგი, ხარისხის, შედეგებისა და ზემოქმედების ანალიზი;
- ახალგაზრდული სექტორის კვლევისა და განვითარების ღონისძიებები ახალგაზრდებზე ორიენტირებული სერვისებისა და პოლიტიკის შემუშავების მიზნით.

ასეთი სისტემური მიდგომა სხვადასხვა ღონისძიებების მეშვეობით ხორციელდება.

## ახალგაზრდული საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფა ლიეტუვაში

ახალგაზრდების საქმიანობის პრინციპები აღწერილია ლიეტუვის რესპუბლიკის სოციალური უზრუნველყოფისა და შრომის სამინისტროს ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტის დოკუმენტში, სახელად „ხარისხის უზრუნველყოფის რეკომენდაციები ღია ახალგაზრდულ ცენტრებსა და ღია ახალგაზრდულ სივრცეებში“. ამ რეკომენდაციების მიხედვით, საოპერაციო დაგეგმვა მისაღწევ ხარისხობრივ და რაოდენობრივ შედეგებს ეფუძნება. მიღწეული შედეგები გაზომვადი უნდა იყოს, დაგეგმილი აქტივობები კი სამ წელს მოიცავს.

მთავარი პრინციპით დადგენილია, რომ ღია ახალგაზრდული ცენტრის/სივრცის არსებული მდგომარეობის თვითშეფასება უნდა მოხდეს გარე შეფასების ჩატარებამდე. თვითშეფასება განსაზღვრავს ორგანიზაციის მიმდინარე სტატუსს და პროგრესს, ანალიზებს საქმიანობის შესრულების ძირითად ინდიკატორებს (წარმოდგენილია ქვემოთ), ანალიზებს ვიზიტორებისა და მათი მშობლებისგან უკუკავშირით მიღებულ ინფორმაციას და მონიშნავს ასპექტებს, რომლებიც საჭიროებს გაუმჯობესებას. გარე შეფასება ცენტრის/სივრცის მიერ განხორციელებულ თვითშეფასებას და მუნიციპალურ ახალგაზრდულ კოორდინატორთან შეთანხმებულ მიზნებსა და ამოცანებს განიხილავს.

ცენტრის/სივრცის შეფასების მთავარი მიზანია გააუმჯობესოს ცენტრი/სივრცე და ღია ახალგაზრდული საქმიანობა და უზრუნველყოს, რომ ცენტრის/სივრცის შეფასება იყოს გამჭვირვალე, ღია და თვითკრიტიკული; ის არ გამოიყენება ცენტრის/სივრცის დაფინანსების პროგნოზირებისთვის. ცენტრის/სივრცის არსებული მდგომარეობის შეფასების გათვალისწინებით, ცენტრის/სივრცის სამოქმედო გეგმა მიწოდებული ფორმის შესაბამისად უნდა შემუშავდეს. სამოქმედო გეგმა მისაღწევ შედეგებს, მიზნებს და მათ მნიშვნელობებს ყოველი კალენდარული წლის ბოლოს ადგენს; აგრეთვე აფიქსირებს შედეგების მისაღწევად განსახორციელებელ ქმედებებს, მათ ვადებს და საჭირო ადამიანურ და ფინანსურ რესურსებს. ცენტრის/სივრცის დირექტორი სამოქმედო გეგმას კოორდინაციას მუნიციპალური ახალგაზრდობის კოორდინატორთან ერთად უწევს.

ყოველი წლის ბოლოს მზადდება საქმიანობის წლიური ანგარიში, რომელიც სამოქმედო გეგმის განხორციელებას და მის შედეგებს აფასებს და ცენტრის/სივრცის ძირითად შესრულებას და ინდიკატორებს განიხილავს. განახლებული სამოქმედო გეგმა საჭიროებისამებრ გადაიხედება. სამოქმედო გეგმის განხილვის შემდეგ გეგმა და მასში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება შეთანხმებული უნდა იყოს მუნიციპალური ახალგაზრდობის კოორდინატორთან, რომლის ფუნქციასაც აქტივობის დაგეგმვაში მეთოდოლოგიური დახმარების გაწევა წარმოადგენს. იმართება ცენტრის/სივრცის ახალგაზრდული პერსონალის, ზედამხედველებისა და ა.შ. რეგულარული შეხვედრები, რათა განიხილონ წარმოქმნილი გამოწვევები და შესაბამისი აქტივობები, სულ ცოტა, თვეში ერთხელ მაინც დაგეგმონ.



„ღია ახალგაზრდულ ცენტრებსა და ღია ახალგაზრდულ სივრცეებში ხარისხის უზრუნველყოფის რეკომენდაციები“ ასევე მოიცავს საქმიანობის შესრულების რეკომენდებულ (არა სავალდებულო) ისეთ ინდიკატორებს, როგორცაა ვიზიტორთა საერთო რაოდენობა, უნიკალური ვიზიტორების რაოდენობა, ნაკლები შესაძლებლობების მქონე ვიზიტორთა რაოდენობა (მაგ., სოციალური რისკის მქონე ვიზიტორთა რაოდენობა, განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ვიზიტორების რაოდენობა და ა.შ.), ინდივიდუალურ ვიზიტორთა კონსულტაციების რაოდენობა, ვიზიტორთა რაოდენობა ასაკის (ასაკობრივი ჯგუფის) და სქესის მიხედვით, მშობლებთან შეხვედრების რაოდენობა და ახალგაზრდების მიერ ინიცირებული/ორგანიზებული აქტივობების რაოდენობა; ასევე, განხორციელებული საგანმანათლებლო აქტივობები, არაფორმალური განათლების პროგრამების რაოდენობა, ორგანიზებული სარეკლამო აქტივობების რაოდენობა (პუბლიკაციები, აქციები, სტატიები), ახალგაზრდებთან განხორციელებული პროექტების რაოდენობა, დასრულებული პროექტების რაოდენობა, ახალგაზრდებთან მუშაობის მეთოდები, მოზიდული სახსრების რაოდენობა და წყაროები, ახალგაზრდების რაოდენობა და ა.შ.

### კვლევა და მტკიცებულება, რომელიც ხელს უწყობს ახალგაზრდულ საქმიანობას

ეროვნული ხელისუფლება მხარს უჭერს ახალგაზრდული საქმიანობის უკეთ შესწავლას და გაგებას, რათა იყოს შესაბამისობა და ახალგაზრდების საჭიროებებზე მოხდეს რეაგირება. შეიქმნა ახალგაზრდული კვლევის ქსელი, ეროვნული საკონსულტაციო ჯგუფი, რომელიც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების, მკვლევრების, ახალგაზრდების, ახალგაზრდული პოლიტიკის შემქმნელების, ახალგაზრდული არასამთავრობო ორგანიზაციების და ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ხელისუფლების წარმომადგენლებისგან არის დაკომპლექტებული. ახალგაზრდული კვლევის ქსელის მიზანია ითანამშრომლოს ლიეტუვაში ახალგაზრდული პოლიტიკის შემქმნელ და განმახორციელებელ ინსტიტუტებთან ეროვნულ დონეზე, რათა ახალგაზრდული პოლიტიკის განმსაზღვრელებს მტკიცებულებებზე დაფუძნებული და ცოდნით განმტკიცებული წინადადებები მიაწოდონ.

### ახალგაზრდული საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფა ფინეთში

ფინეთში ახალგაზრდული საქმიანობა კანონით განსაზღვრული სერვისია და რეგულირდება კანონით და რომელსაც „ახალგაზრდობის აქტი“ ეწოდება. ამ აქტის საფუძველზე, ახალგაზრდულ საქმიანობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება ადგილობრივ ხელისუფლებას (ფინეთში ასეთ ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებს მუნიციპალიტეტებს უწოდებენ). მუნიციპალიტეტები ვალდებული არიან ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით შექმნან საჭირო წინაპირობები ადგილობრივი ახალგაზრდების მუშაობისა და საქმიანობისთვის, ახალგაზრდებისთვის სერვისებისა და შენობა-ნაგებობების (სამუშაო ადგილების) მიწოდებით, რაც მათი სამოქალაქო ჩართულობის მხარდაჭერის გზით უნდა განხორციელდეს. ადგილობრივი თვითმმართველობის კანონში აღნიშნულია, რომ მუნიციპალიტეტებმა ის ფუნქციები უნდა შეასრულონ, რომლებსაც თავად ირჩევენ თვითმმართველობის სტატუსის მიხედვით და კანონმდებლობით

გათვალისწინებული ფუნქციები თავადვე უნდა გადაანაწილონ. ადგილობრივი ახალგაზრდული საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის პირველ საფეხურად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ ახალგაზრდულ საქმიანობას, ნებისმიერი სხვა სერვისის მსგავსად, უნდა ჰქონდეს გარკვეული კონკრეტული მიზნები, რომლებიც საქმიანობის ბუნებას უნდა ესადაგებოდეს. გარდა ამისა, ადგილობრივი თვითმმართველობის აქტი ადგენს, რომ „მუნიციპალიტეტის სამოქმედო და ფინანსური მიზნები ბიუჯეტსა და ფინანსურ გეგმაში უნდა იყოს დამტკიცებული“.

ადგილობრივი ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია შეაფასოს, თუ რამდენად იქნა მიღწეული ადგილობრივი საკრებულოს მიერ დასახული სამოქმედო და ფინანსური მიზნები თავად მუნიციპალიტეტში, მუშაობს საკრებულოს დაქვემდებარებაში და მოიხსენიება, როგორც ადგილობრივი ხელისუფლების აუდიტის კომიტეტი. როგორც ახალგაზრდობის აქტი, ისე ადგილობრივი თვითმმართველობის აქტი აღიარებს იმ აქტიურ როლს, რომელიც (ახალგაზრდა) მოქალაქეს უნდა ჰქონდეს მომსახურების დაგეგმვაში, თუმცა, ახალგაზრდული საქმიანობის მიზნების დასახვასა თუ შეფასებებში ახალგაზრდებს საკმაოდ იშვიათად უსმენენ. ეს ფაქტი ხაზგასმულია ქვეყნის მასშტაბით ძირითადი სერვისების ყოველწლიურად რეალიზებული შეფასების უახლეს ანგარიშშიც (2020), რომელიც ჩაატარეს რეგიონულმა სახელმწიფო ადმინისტრაციულმა ორგანოებმა. „ახალგაზრდული მუშაობისა და ახალგაზრდული პოლიტიკის შესახებ“ მთავრობის დადგენილების საფუძველზე, რეგიონული სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოები პასუხისმგებელი არიან შეაფასონ ახალგაზრდობისთვის განკუთვნილი სერვისების ადეკვატურობა, ხარისხი და ხელმისაწვდომობა. იმის გამო, რომ ახალგაზრდული საქმიანობა კანონითაა განსაზღვრული, ახალგაზრდული საქმიანობის სერვისებს ასევე აფასებენ სახელმწიფოს რეგიონული უწყებები. ამ შეფასებების მთავარი იდეაა გაიზომოს, რამდენად შეუძლია ფინეთის მოქალაქეს ჰქონდეს თანაბარი მომსახურება, მიუხედავად თავისი საცხოვრებელი ადგილისა. შეფასებებით ასევე ხდება მონიტორინგი, თუ როგორ და რამდენად ასრულებენ მუნიციპალიტეტები თავიანთ ვალდებულებებს (ახალგაზრდულ საქმიანობასთან დაკავშირებით), როგორც, მაგალითად, ახალგაზრდობის აქტშია ნათქვამი. სააგენტოები ირჩევენ, თუ შეფასების რომელ ასპექტზე გაამახვილებენ ყურადღებას ყოველწლიურად, ხოლო უახლესი ანგარიში სერვისების ადეკვატურობას ეხება.

რეგიონული სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოების უახლეს ანგარიშში ახალგაზრდული საქმიანობის სერვისების ადეკვატურობა, რომელიც თანაბრად ხელმისაწვდომია ყველა ახალგაზრდობისთვის, შეფასდა, როგორც „საკმაოდ კარგ დონეზე“; ახალგაზრდული საქმიანობის და ახალგაზრდული სემინარების მომსახურებამ იგივე შეფასება მიიღო. 18 წელზე უფროსი ასაკის ახალგაზრდობისთვის ღია სამუშაო სერვისების შეფასების შედეგები მიუთითებს, რომ ასეთი სერვისები არასაკმარისია; ანგარიშში ასევე მოცემულია კონკრეტული ტერიტორიის დეტალები, სადაც მითითებულია, თუ რომელ სფეროებს აქვთ ადეკვატური სერვისები და ისიც, თუ რომელ სფეროებშია საჭირო მათი გაუმჯობესება. მუნიციპალური დონის ინფორმაცია ხელმისაწვდომია. ძირითადი სერვისების შეფასების შედეგები არის საჯარო სერვისების საბაზისო პროგრამის პროცედურის ნაწილი, რომელიც, თავის მხრივ, ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის მოლაპარაკების პროცესს განეკუთვნება და ცენტრალური ხელისუფლების ბიუჯეტის მომზადების ნაწილს წარმოადგენს. შეფასების შედეგები ასევე მუნიციპალიტეტებში,

ადგილობრივ დონეზე მომსახურების დაგეგმვაზე ახდენს გავლენას, რომელსაც რეგიონული სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოების პერსონალი ახორციელებს; ისინი არიან საინფორმაციო ხელმძღვანელები და უზრუნველყოფენ სახელმწიფო დაფინანსებას ახალგაზრდული მუშაობის ხარისხის განვითარების პროექტებისთვის, ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე.

მიუხედავად იმისა, რომ ფინეთი ბევრს აკეთებს ახალგაზრდული საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის სფეროში, მაინც საჭიროდ თვლის, რომ ღია ახალგაზრდული საქმიანობის სფეროს შემდგომი განვითარებისთვის შემუშავდეს ხარისხის შეფასების ეროვნული მოდელი და საკვანძო ფიგურების დოკუმენტაციის სისტემა. მათი შემდგომი განვითარება არის ერთ-ერთი ამოცანა, რომელიც განათლებისა და კულტურის სამინისტრომ ახალგაზრდულ საქსპერტო ცენტრებს შესასრულებლად დაუსახა.

### კვლევა და მტკიცებულება, რომელიც ხელს უწყობს ახალგაზრდულ საქმიანობას

არსებობს ისეთი აქტივობები, რომლებიც გამიზნულია ხელმისაწვდომი მონაცემთა ბაზის გასაფართოებლად, რასაც შეიძლება ახალგაზრდულ პოლიტიკასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღება დაეფუძნოს. რაც შეეხება ახალგაზრდულ საქმიანობას, ფინეთის ახალგაზრდული საქმიანობის სტატისტიკა წარმოადგენს პორტალს, რომელიც მოიცავს ეროვნულ სტატისტიკას მუნიციპალური ახალგაზრდული საქმიანობის (ე.წ. „ღია ახალგაზრდული საქმიანობა“), ახალგაზრდული სემინარებისა და ახალგაზრდული საქმიანობის შესახებ. პორტალს ადმინისტრირებას უწევს რეგიონული სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოების ერთ-ერთი ოფისი. პორტალი შეიქმნა განათლებისა და კულტურის სამინისტროსთან თანამშრომლობით.

უფრო მეტიც, ახალგაზრდული ცენტრები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ახალგაზრდული საქმიანობის მონაცემთა ბაზის შექმნაში, რადგან უნდა „აწარმოოს და მიაწოდოს საჭირო ინფორმაცია განათლებისა და კულტურის სამინისტროს“, როგორც ეს 2020-2023 წლების ახალგაზრდული საქმიანობის და ახალგაზრდული პოლიტიკის ეროვნულ პროგრამაშია გაწერილი.

ადგილობრივ დონეზე, ახალგაზრდობის აქტის თანახმად, ადგილობრივი ხელისუფლების მიერ დაწესებულ სექტორთა შორის თანამშრომლობის საკოორდინაციო ორგანოს მოეთხოვება მოიპოვოს ინფორმაცია ახალგაზრდების ზრდისა და ცხოვრების პირობების შესახებ და გაავრცელოს ეს ინფორმაცია გადაწყვეტილების მიმღებთათვის, რათა გაფართოვდეს მონაცემთა ბაზა, რომელსაც გადაწყვეტილების მიღების პროცესი ეფუძნება.

ფინეთის უმაღლესი განათლების სისტემა შედგება უნივერსიტეტებისა და გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტებისგან, რომელთა უმეტესობა ახალგაზრდულ საქმიანობასთან დაკავშირებულ სამეცნიერო კვლევებს ახორციელებს. შესაბამისად, წლების განმავლობაში ახალგაზრდულ საქმიანობასთან დაკავშირებით მრავალი ნაშრომი დაიწერა, სადოქტორო დონეზეც კი. ამ სფეროში ასევე არსებობს ორი ძლიერი კვლევითი ინსტიტუტი, კერძოდ, სამეცნიერო ასოციაცია, სახელწოდებით, *ფინეთის ახალგაზრდული კვლევის საზოგადოება და ახალგაზრდული კვლევის ქსელი* და *Juvenia - ახალგაზრდული კვლევისა და განვითარების*

ცენტრი, რომელიც სამხრეთ-აღმოსავლეთ ფინეთის გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტშია.

## ახალგაზრდული საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფა სლოვაკეთში

სლოვაკეთში ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთ ფორმას არაფორმალური განათლების პროგრამების აკრედიტაცია წარმოადგენს, რასაც ახალგაზრდული საქმიანობის სფეროში აკრედიტაციის კომისია (AC) ახორციელებს. AC დააარსა განათლების, მეცნიერების, კვლევისა და სპორტის სამინისტრომ (MESRS). აკრედიტაციის კომისია აგრეთვე აფასებს განაცხადებს ხარისხის ნიშნისთვის.

MESRS-მ შექმნა სამუშაო ჯგუფი ხარისხის სტანდარტების საბოლოო განსაზღვრისთვის.

ხარისხის ნიშანი „ახალგაზრდული საქმიანობის ხელშეწყობის შესახებ“ კანონის ცვლილებაში შევიდა. MESRS-მ ასევე წარადგინა ხარისხის ბრენდის ახალი ნიშანი - *თანამედროვე ახალგაზრდული ცენტრი*. ხარისხის ნიშანი - „*თანამედროვე ახალგაზრდული ცენტრი*“ - MESRS-მ შეიძლება მიანიჭოს ახალგაზრდული საქმიანობის განმახორციელებლებს, აკრედიტაციის კომისიაში შესული განაცხადების შეფასების საფუძველზე.

## ახალგაზრდული საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის მდგომარეობა საქართველოში

ახალგაზრდული საქმიანობის განვითარების ხელშეწყობა ხარისხიანი ახალგაზრდული პოლიტიკის ეფექტიან განხორციელებას გულისხმობს. საქართველოს 2020-2030 წლების ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფციის ფარგლებში შეიქმნა ახალგაზრდული პოლიტიკის შემუშავების სამართლებრივი ბაზა. დოკუმენტი განსაზღვრავს ძირითად მიმართულებებს, ამოცანებს, ღონისძიებებსა და ინდიკატორებს, რომლებიც მიმართულია ახალგაზრდების ცხოვრების გაუმჯობესებაზე. კონცეფცია ევროკავშირის ახალგაზრდობის 2019-2027 წლების სტრატეგიას ეფუძნება და შეესაბამება.

ახალგაზრდული საქმიანობის განმახორციელებლები (პროვადერები) მნიშვნელოვან როლს ასრულებენ როგორც ახალგაზრდების, ისე მთლიანად საზოგადოების განვითარების პროცესში. ისინი ქმნიან ეფექტიან პლატფორმას ახალგაზრდებისთვის მნიშვნელოვანი საკითხების ადვოკატირებისთვის, ხელს უწყობენ ახალგაზრდებში ძირითადი უნარების განვითარებას, ინფორმაციის გავრცელებას, აქტიურ მოქალაქეობასა და მონაწილეობას. ყოველივე ეს ახალგაზრდული საქმიანობისა და არაფორმალური საგანმანათლებლო სერვისების უზრუნველყოფისთვის მყარ საფუძველს ქმნის. ახალგაზრდული ორგანიზაციების საშუალებით ახალგაზრდებს შესაძლებლობა ეძლევათ დაამყარონ ფართო და მრავალფეროვანი სოციალური

კავშირები და პარტნიორული ურთიერთობები სხვადასხვა ორგანიზაციებსა და ჯგუფებთან, რაც საბოლოოდ, ახალგაზრდების კეთილდღეობის განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორია.

ახალგაზრდული ორგანიზაციების მდგრადობა, სხვა ფაქტორებთან ერთად, დამოკიდებულია მათ ინსტიტუციურ განვითარებასა და სამუშაო სისტემაზე. საქართველოში ახალგაზრდული ორგანიზაციები სხვადასხვა გამოწვევების წინაშე დგანან, როგორც დაგეგმვის, ისე ორგანიზაციული განვითარებისა და მდგრადობის საკითხებში. ახალგაზრდული საქმიანობის განმახორციელებლების უმრავლესობას არ გააჩნია სისტემური მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები. ორგანიზაციები ხშირად მონიტორინგს და შეფასებას მხოლოდ მაშინ ახორციელებენ, როდესაც ამას დონორი მოითხოვს, კონკრეტული პროექტის ფარგლებში. ორგანიზაციის მდგრადი განვითარების ძირითად კომპონენტებს შორის მისი სტრატეგია და სამოქმედო გეგმა მიიჩნევა. ორგანიზაციების უმრავლესობას კი არ აქვს ასეთი გეგმები, რაც მკვეთრად აფერხებს ახალგაზრდული ორგანიზაციების განვითარებას და ახალგაზრდებში სამოქალაქო მოტივაციის ამღვებებს და ახალგაზრდების ორგანიზაციულ ჯგუფებში ჩართვას უშლის ხელს. ამგვარი ვითარება ასევე უარყოფით გავლენას ახდენს ორგანიზაციული საქმიანობის ხარისხზე.

ამ დროისთვის საქართველოში არ არსებობს ახალგაზრდული საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა და არც ახალგაზრდული მუშაკის სტატუსის სამართლებრივი რეგულაცია გაგვაჩნია.

ცენტრალურ და მუნიციპალურ დონეზე ახალგაზრდული პოლიტიკის მართვის ხარისხის გაუმჯობესების სისტემის შემუშავება გათვალისწინებულია საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფციაში. ახალგაზრდული საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფა და აღიარება მიმდინარე დებატების მნიშვნელოვანი თემებია.

იმისათვის, რომ ფუნქციონალური ახალგაზრდული პოლიტიკა შეიქმნას, ის უნდა იყოს კვლევაზე ორიენტირებული. ახალგაზრდულმა სააგენტომ შექმნა მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების პროგრამა, რომელიც მხარს უჭერს კვლევაზე ორიენტირებული ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავებას. თუმცა საჭიროა უფრო მეტად სტრუქტურული მიდგომის შემუშავება და დანერგვა თემატური ანალიზების განსახორციელებლად.

## რეკომენდაციები საქართველოში ახალგაზრდული საქმიანობის ხარისხის განვითარებასთან დაკავშირებით

რეკომენდებულია ახალგაზრდულ სექტორში ხარისხის უზრუნველყოფის ნებაყოფლობითი ელექტრონული, ინტერაქტიური სისტემის დანერგვა, რომელიც ახალგაზრდულ ორგანიზაციებს საშუალებას მისცემს განახორციელონ საკუთარი საქმიანობის შეფასება; მოახდინონ გასაუმჯობესებელი სფეროების იდენტიფიცირება; ახალგაზრდული საქმიანობის პრაქტიკაში სტანდარტების დადგენა; ახალგაზრდული საქმიანობის გაძლიერების მიზნით მტკიცებულების ბაზის უზრუნველყოფა; ახალგაზრდულ საქმიანობაში რესურსების ეფექტიანად გამოყენების

## საქართველოში ახალგაზრდული საქმიანობის ხარისხის განვითარების შესახებ

უზრუნველყოფა; და საფუძვლის შექმნა და უზრუნველყოფა სრული ორგანიზაციული შეფასებისა და ხარისხის კულტურის განვითარებისათვის.

### საჭიროა შემდეგი ნაბიჯების გადადგმა:

- დაინტერესებული პირების რუკის შედგენა, სადაც წარმოდგენილი იქნება დაინტერესებული პირების საჭიროებები და მოლოდინი;
- მთავარ დაინტერესებულ პირებთან მოლაპარაკება და პოლიტიკის შეთანხმება;
- ახალგაზრდული საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის დარგობრივი კომიტეტის შექმნა;
- სამუშაო ჯგუფის შექმნა ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოს შემუშავების მიზნით;
- ახალგაზრდული საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოს შემუშავება;
- ინსტრუქციებისა და გზამკვლევების შემუშავება ახალგაზრდული საქმიანობის განმახორციელებლების თვითშეფასების განხორციელების მიზნით;
- გარე შეფასების მარეგულირებელი სტრუქტურისთვის გზამკვლევების შემუშავება;
- შეფასებაში ჩართული თითოეული სტრუქტურისთვის სატრენინგო მასალის შემუშავება;
- ახალგაზრდული საქმიანობის განმახორციელებლების (პროვაიდერების) და ყველა ჩართული სტრუქტურის შესაძლებლობების გაზრდა;
- საკანონმდებლო ბაზის გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში ცვლილებების შეტანა;
- ხარისხის უზრუნველყოფის მართვის ციფრული პორტალის შექმნა.

## ბიბლიოგრაფია

2020–2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფცია

ევროკავშირის ახალგაზრდობის 2019-2027 წლების სტრატეგია

ახალგაზრდული ორგანიზაციების მდგომარეობა საქართველოში, კვლევის ანგარიში 2021

Europe encyclopedia of National Youth Policies <https://national-policies.eacea.ec.europa.eu/>